




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

სექტემბერი, 2023


- 2023 წლის აგვისტოში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 5.8 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 8 თვის საშუალო ზრდა 7.0 პროცენტზე დაფიქსირდა
- საქმიანობებში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.7 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.6 პროცენტს
- აგვისტოში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 4.8 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 0.9 პროცენტით, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 12.5 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 691 მლნ აშშ დოლარს
- აგვისტოს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 8.3 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაუფასურდა 0.4 პროცენტით წინა თვესთან
- საქმიანობებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10 პროცენტამდე შეამცირა

აგვისტოში ეკონომიკურმა ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა


ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



ეკონომიკური ზრდა, % თ/თ




- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის II კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 7.5 პროცენტია, ხოლო პირველი 8 თვის საშუალო ზრდა 7.0 პროცენტზე დაფიქსირდა. სემონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ აგვისტოში წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტი შეადგინა.
- 2023 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა და ვაჭრობა.
- კლება დაფიქსირდა უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ინფორმაციის და კომუნიკაციის სექტორებში.



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მეორე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 7.5 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 II კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკა 7.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.7 პროცენტით. 2023 წლის მეორე კვარტალის ზრდა 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 26.9 პროცენტით ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის მეორე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - ადმინისტრაციული და მმართველობის საქმიანობები 42.8% (0.4 პ.პ.)
 - მინამეურნეობის, როგორც დაქირავებულის, საქმიანობები: 41.8% (0.04 პ.პ.)
 - მშენებლობა: 22.7% (1.0 პ.პ.)
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 20.2% (1.0 პ.პ.)
 - განათლება: 19.6% (1.0 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 14.6% (1.9 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება: -7.0% (-0.3 პ.პ.)
 - სოფლის, საცდო და თევზის მეურნეობა: -7.1% (-0.6 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2023 II კვარტალი




წყარო: საქსტატი

საქტემბრის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.7 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეხ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 12.5 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- აგვისტოში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 4.8 პროცენტით და გაუტოლდა 495.8 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 23.4 პროცენტით და გაუტოლდა 202.1 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 0.9 პროცენტით და გაუტოლდა 1 274 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 12.5 პროცენტით და გაუტოლდა 691 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 17.8 პროცენტი (40.3 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 10.6 პროცენტიანი წვლილი (-48.4 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 7.6, 1.2 და -7.9 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აგვისტო



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აგვისტო



ექსპორტის გოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 190.6 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 38.4 პროცენტი.
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 31.1 მლნ აშშ დოლარი - 6.3 პროცენტი.
- ყურძნის ნატურალური ღვინოები: 19.1 მლნ. აშშ დოლარი - 3.8 პროცენტი.

იმპორტის გოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 212.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 16.6 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 107.7 მლნ აშშ დოლარით - 8.5 პროცენტი.
- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 46.6 მლნ აშშ დოლარით - 3.7 პროცენტი.

ექსპორტის გოპ ქვეყნები:

- აზერბაიჯანი: 82/5 მლნ. აშშ დოლარი, - 16.6 პროცენტი.
- ყაზახეთი: 73.7 მლნ. აშშ დოლარი - 14.9 პროცენტი.
- ყირგიზეთი: 63.2 მლნ. აშშ დოლარი - 12.7 პროცენტი.


იმპორტის გოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 328.1 მლნ. აშშ დოლარი, - 25.8 პროცენტი.
- თურქეთი: 219.7 მლნ. აშშ დოლარი - 17.2 პროცენტი.
- ჩინეთი: 140.6 მლნ. აშშ დოლარი - 11.0 პროცენტი.

2023 წლის აგვისტოში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 15.4 პროცენტული კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019

წმინდა ფულადი გზავნილები, აგვისტო 2023




ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	57.1	-47.1	-16.7
იტალია	44.2	23.0	2.7
აშშ	38.8	39.8	3.6
გერმანია	19.4	34.5	1.6
საბერძნეთი	18.5	6.9	0.4
ყაზახეთი	17.7	63.3	2.2
სხვა	62.1	-31.4	-5.0

2023 წლის აგვისტოში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 257.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 102.4 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - ირლანდია: 122.9 პროცენტი (0.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - ერაყი: 94.9 პროცენტი (0.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - ყაზახეთი: 63.3 პროცენტი (2.2 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - აშშ: 39.8 პროცენტი (3.6 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - ყირგიზეთი: -65.3 პროცენტი (-2.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - რუსეთი: -47.1 პროცენტი (-16.7 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წყარო: სებ

აგვისტოში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 8.3 პროცენტით გაიყარდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 ოქტომბერი, 2023		1 ოქტ 2023 - 1 იან 2023		1 ოქტ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.8422	▲	1.5%	▲	23.1%
აშშ დოლარი	2.6783	▲	0.9%	▲	15.3%
თურქული ლირა	0.0977	▲	47.7%	▲	136.6%
რუსული რუბლი	0.0274	▲	34.1%	▲	50.4%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	189.06	▲	14.9%	▲	44.2%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (აგვისტო 2023)	154.91	▲	6.7%	▲	22.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, სექტემბერი 2023




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2023 წლის აგვისტოში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,587 მლნ ლარი, რაც 0.3 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის აგვისტოში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 26.9 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 9.5 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზღვრულ შემოსავლებს, შეადგინა 452.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფით 189.2 მლნ ლარით.
- 2023 წლის აგვისტოში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა, შესაბამისად 6.2 და 4.2 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (30 სექტემბერი)





- 2023 წლის სექტემბერში ჩაგარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 266.77 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.445% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 305.13 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2023 წლის 30 სექტემბრისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 41% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღვება მომავალი 3-5 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 28%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (აგვისტო 1.68) შედარებით შემცირდა და 1.58 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სესხების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია




- 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.9 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.1 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 50 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 75.7 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 33.5 პროცენტს შეადგენს.
- ვალდანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 57.4 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 48.6 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 41.6 პროცენტს შეადგენს.


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %




უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ



- 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 13.5 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 14.3 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 12.8 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 14.5 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 12.4 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 17.7 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 24.3, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 12.3 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.08.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.08.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა, %

31.08.2023




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 31 აგვისტოს 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16.7 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგებრა 38.6 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 0.8 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 16.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 19.6 პროცენტს გაუგებრა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის სექტემბრის დასაწყისში შეადგინა 9.4 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 19.6 პროცენტს გაუგებრა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 20.1 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი




საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 13 სექტემბერს რეფინანსირების განაკვეთი 0.25 პროცენტული პუნქტით შეამცირა და 10.0 პროცენტზე დააფიქსირა.

სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებლებზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის გარდა, საგარეო ფაქტორების როლი ინფლაციის ფორმირებაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე სურსათისა და ნელლეულის ფასებმა იკლო და საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც თითქმის პანდემიამდელ დონეს დაუახლოვდა, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც ისახება. ინფლაცია განაგრძობს კლებას, თუმცა შედარებით ნელი ტემპით და მიმდინარე წლის სექტემბერში 0.7 პროცენტი შეადგინა. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეკაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი. მიუხედავად მემოთ აღნიშნული ტენდენციებისა, ინფლაციის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მწვავე გეოპოლიტიკური სიგუაციათან ერთად სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი ტემპით შერბილებისაკენ.



მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხლომა 2023 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდება.

2023 წლის სექტემბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე აუქციონის მეშვეობით 3 ჩარევა განახორციელა. ჯამში სებ-მა 64.75 მლნ დოლარი გაყიდა.

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.9 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.9 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.3 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 15.8 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.5 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის აგვისტოს ბოლოს 13.9 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.2 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.0 პროცენტი.

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო